უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №08

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 13.03.2020

სხდომის დაწყების დრო: 15:08
სხდომის დამთავრების დრო: 21:12
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა
საბჭოს მდივანი: ნიკოლოზ კიკნაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (**სხდომის თავმჯდომარე**);
2. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი (**საბჭოს მდივანი**);
3. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
6. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
7. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I, II
2	ბერიკა შუკაკიძე	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I

3	ალექსანდრე იაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
5	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	I, II
6	ბიძინა მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
7	ხათუნა რცხილაძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
8	ნატალია წერეთელი	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
9	ხათუნა დარსალია	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	აკადემიური პერსონალი	III
10	ნატალია ლეწვერიძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	აკადემიური პერსონალი	III
11	სალომე ჩიბურდანიძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	აკადემიური კოორდინატორი	III
12	დავით კერესელიძე	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	III
13	ეკატერინე აზარაშვილი	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	კანცლერი	III
14	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი	IV
15	ჯონი მწარიაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ავტორიზაციის დეპარტამენტის უფროსი	IV
16	სოსო გოგილიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
17	ნანა ბურდული	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დარეჯან ქობელაშვილი	ელექტრონულად	I
2	მარინე ჩხიკვიშვილი		I
3	გიორგი დათუკიშვილი		II
4	მიხეილ რუხაია		II
5	გურამ პოპიაშვილი		II
6	ნინო კორსანტია		III
7	ეკატერინე ბეშკენაძე		III

9	ვახტანგ თებიძე				III
10	ალექსანდრე რუსეცკი				IV
11	ლია სანიკიძე				IV
12	თინათინ გვაძაბია				IV

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სპორტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 26 ნოემბერი; №219
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	სპორტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სპორტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[7]	საქართველო, 1400, ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. №53, სასწავლო კორპუსი № 2
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა სკაიპისა და მობილური ტელეფონის საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დადასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2019 წლის 19 ნოემბერს. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოყალიბებული იყო სწავლის შედეგები, თუმცა სილაბუსებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სპორტული სპეციალიზაციების სწავლა-სწავლების მეთოდები, დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად სპეციფიკის გათვალისწინებით. ასევე, კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია სპორტის მიმართულებით, რის მისაღწევადაც მნიშვნელოვანია სპორტული სპეციალიზაციების სასწავლო კურსების შეთავაზება, სხვადასხვა სპორტის ტექნიკური უნარ-ჩვევების თავისებურების და ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრისათვის და პრობლემის გადასაჭრელად სათანადო კურსების შეთავაზება: დოპინგი სპორტში, სპორტსმენის კვება, სპორტის სოციოლოგია, სპორტული ტექნოლოგიები, ინფრასტრუქტურა, ლიდერობა და გუნდის მართვა სპორტში და ა.შ. რაც კურიკულუმში არ ყოფილა ასახული. ექსპერტთა თავმჯდომარის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამა ამისთვის არ ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკას სპორტის სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, სპორტულ კლუბებში გამაჯანსაღებელ ბანაკებში, სკოლებში და ა. შ. მისი განმარტებით, დამსაქმებელთან შეხვედრითაც გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულებს ნაკლებად აქვთ განვითარებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ხარვეზები ამცირებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაძლებლობებს და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას.
სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად კონკრეტული საგანმანათლებლო ერთეულისთვის უნივერსიტეტმა შეიმუშაოს შემოქმედებით (აქ: სპორტულ) ტურზე მიღების დოკუმენტი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის თანმდევი უნდა იყოს. მიღების დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიღების პროცედურები, სპორტული ტურის ნორმატივები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა არგუმენტირებული პოზიციით უპასუხეს, რომ აღნიშნული ცენტრის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხაში არ ყოფილა. ექსპერტის განმარტებით, ისინი ეცადნენ ეს ინფორმაცია მოეპოვებინათ ვებ-გვერდის საშუალებით, მაგრამ გაუჭირდათ პოვნა და არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულების წარმომადგენლებმა მიუთითეს ვებ-გვერდის მისამართი, სადაც იყო აღწერილი აკადემიურ საბჭოზე მიღების წინაპირობა, პროცედურები და ა.შ 5 აპრილის მონაცემებით. ინფორმაციის მოპოვება იყო რთული, შესაბამისად, მათი რეკომენდაციაა, ინფორმაცია ბანერის სახით დაინტერესებული პირებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

გარდა ამისა, ექსპერტის თქმით რეკომენდებულია, სხვადახვა სპორტული სპეციალიზაციების სასწავლო კურსის სილაბუსებში გაიწეროს სპორტის კონკრეტული სპეციალიზაციისათვის დამახასიათებელი სწავლების პრაქტიკული მეთოდები, რომელსაც იყენებს სასწავლო კურსის წამყვანი სწავლის სპეციფიკური შედეგების მისაღწევად. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები და მეთოდები უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და გამოყენებული სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე. ასევე, სპეციალიზაციის მიმართულებით სილაბუსებში დაშვების წინაპირობად არ არის მითითებული სპორტული სასწავლო კურსები: მძლეოსნობა და ტანვარჯიშის შესწავლა. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა მიმართულია სწავლის შედეგის მიღწევისაკენ, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ არის სტრუქტურიზებული ბლოკებად, რაც საჭიროა შედეგის მისაღწევად. ექსპერტის განმარტებით, ცოდნის შესაფასებლად გამოყენებული ტერმინები გამჭვირვალეა, ანალიზისა და უნარების განვითარებისათვის ჩართულია აკადემიური პერსონალი და სტუდენტი, მაგრამ, მაგალითად, ადამიანის ანატომიის ორ სასწავლო კურსში, რომლებიც 10 კრედიტს ითვალისწინებენ, სემესტრში შესასრულებელი თეორიული თუ პრაქტიკული დავალებები მოცულობითია, მაშინ, როდესაც სპორტის ფიზიკური შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს ეს სასწავლო კურსი. მისი თქმით, უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, თუმცა მედიკო-ბიოლოგიური მიმართულების, ვარჯიშების ბიომექანიკის და სპორტული სპეციალიზაციების კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლებისათვის უნდა შეირჩეს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელთაც ექნებათ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და შეძლებენ მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის უზრუნველყოფით კი საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის შენარჩუნებას. ასევე, სასურველია, ლიტერატურა ითარგმნოს ქართულ ენაზე და განახლდეს სილაბუსებში მითითებული მოძველებული ლიტერატურა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა მათი არგუმენტირებული პასუხი ექსპერტთა რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ესმოდეთ ყველა რეკომენდაციის შინაარსი, რომელი საკითხი რომელი კრიტერუმებით იქნა შეფასებული. სტანდარტი 4.1 და 2.4 ლოგიკურ ბმაშია 1.1-თან და შემდეგ კეთდება განსვლა. მისი თქმით, ყველა ქვესტანდარტი ერთმანეთთან ბმაშია და მათი შეფასება ხდება კრიტერიუმებით. ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევადობის ერთ - ერთი კრიტერიუმია აკადემიური პერსონალის კომპეტენციები, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კი 1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, ასეთი კრიტერიუმი არ არსებობს, ისინი ხელმძღვანელობენ სტანდარტში გაწერილი კრიტერიუმებით, შესაბამისად, გაუგებარია რეკომენდაცია რომელი სტრანდარტებით იქნა შეფასებული. რაც შეეხება 1.2 ქვესტანდარტს, რეკომენდაციაში მითითებულია, რომ თუ საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურირებული იქნება მაშინ აღმოჩნდება რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 2.1 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტებმა უკვე აღნიშნეს, რომ ტურის ჩატარებისათვის აუცილებელი დოკუმენტები, როგორც ფაქტობრივი გარემოება უკვე წარმოადგინეს, მეორე მხრივ, დაწესებულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 19/ნ ბრძანებით პირდაპირ მოეთხოვება ეროვნული გამოცდების ცენტრში დოკუმენტის გადაგზავნა, რადგან ამგვარი დოკუმენტის გარეშე სტუდენტთა მიღება ვერ განხორციელდება. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ უფრო თვალშისაცემი გახადონ ეს დოკუმენტი ვებ-გვერდზე. რაც შეეხება 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მითითებულ ჩანაწერს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ არის სტრუქტურიზებული, დაყოფილი ბლოკებად, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს არის 1.1 ქვესტანდარტთან გაცემული რეკომენდაციის განმეორება. მისი თქმით, ისინი გაითვალისწინებენ რეკომენდაციას ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში დაშვების წინაპირობად მძლეოსნობისა და

ტანვარჯიშის სწავლების საგნის მითითებას. რაც შეეხება 2.3 ქვესტანდარტს, სადაც ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია სასწავლო კომპონენტისათვის კრიტერიუმების განსაზღვრის მექანიზმი, ასევე, წერია, რომ სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. მისი განმარტებით, სწავლის შედეგების შედგენაში ჩართულია აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესი ამასთანავე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №-3 ბრძანების შესაბამისად, შემუშავებული იქნა სათანადო პროცედურა, რომელიც ორიენტირებულია დადგენილი კრედიტების შესაბამისობის გადამოწმებაზე, რაშიც ჩართულები არიან სტუდენტები გამოკითხვების მხრივ, აკადემიური პერსონალი. ასევე, ფაკულტეტის ხარისხის სამსახური ახორციელებს შეფასებებს, რაც არის მუდმივი პროცესი. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია. ეს არის მათი მუშაობის ნაყოფი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის იმპერატიული მითითება, მისი სიკეთე არის ის, რომ ბევრი სტუდენტი კრედიტებს იღებს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან, მობილობის შედეგების მენეჯმენტი არის უკეთესი, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მათ გაითვალისწინეს ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული რეალობა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 2.5 ქვესტანდარტთან გაცემული რეკომენდაცია მათთვის ბუნდოვანია, ვინაიდან საუბარია იმაზე, რომ სპორტის საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მეთოდები შეფასებას არ ექვემდებარება. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სწავლა-სწავლების მეთოდები. რაც შეეხება 4.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში გაცემულ რეკომენდაციას, რომელიც ეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციას, მან აღნიშნა, რომ შენიშვნა ეხება აკადემიური პერსონალის ერთ წარმომადგენელს და მოწვეული პერსონალის ერთ წარმომადგენელს, თუმცა ორივეს აქვს წარმოდგენილი ნაშრომები, მოწვეული პერსონალის წევრი არის ექიმი დოქტორი, აქვს სამუშაო გამოცდილება ანატომიის მიმართულებით, პუბლიკაციები.

რაც შეეხება 4.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტები თვითონ მიუთითებენ რომ ხორციელდება სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებები, ტრენინგები, აქვთ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა, შესაბამისად, მათთვის ამ ტიპის შეფასება მოულოდნელია, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაცია და ხარისხი უმაღლესია, თუმცა შეიძლება მოხდეს მათი პროფესიული განვითარება, რა მიმართულებითაც უკვე გადაიდგა ნაბიჯი. 5.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, მისი განმარტებით, ექსერტთა ტექსტშივე არის მითთებული, რომ სტუდენტები აფასებენ სასწავლო პროცესს, თუმცა არ დასტურდება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გადმოგზავნილ მასალებში არის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, კითხვარები, მათი ანალიზი და შეფასებებიც გათვალისწინებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ გორი ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე სპორტულ ქალაქს წარმოადგენს, მას აქვს პირადად 2 წიგნი ნათარგმნი ფეხბურთის მენეჯმენტში და ამჟამად ატარებს კვლევას სპორტსმენების პოსტკარიერული ფსიქოლოგიური ტრავმის შესახებ. მისი თხოვნაა, საბჭოს წევრებმა გაითვალისწინონ, რომ როდესაც ის ატარებდა ლექციას მინიმუმ 2 ევროპის ჩემპიონი ჰყავდა ლექციაზე განათლების ფაკულტეტზე. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ეს არის კონფლიქტის ზონა, მაგრამ ამავე დროს სპორტული ქალაქი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მას რჩება შთაბეჭდილება, რომ ექსპერტები სპორტს განიხილავენ ერთ საგნად, რომ მისი როგორც პროფესიონალის აზრით, ექსპერტების მოსაზრებებია მოქცეული სპორტსა და ფიზკულტურას შორის.

დისკუსია

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ მისი კითხვა დაკავშირებულია ექსპერტთა დასკვნის შინაარსობრივ ნაწილთან, რატომ შეფასდა სტანდარტები ნაწილობრივ შესაბამისად, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ეჭვი არ ეპარებათ მოწვეული, აკადემიური სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციაში. თუმცა, სამედიცინო-ბიოლოგიური მიმართულების ყველა ექვს კურსს კითხულობს ერთი პირი, -

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

ადამიანის ანატომიის 2 სასწავლო კურსს, სპორტულ მედიცინას, ადამიანის ზოგად ფიზიოლოგიას, სამკურნალო მედიცინა და კინოზოთერაპიას, სპორტის ფიზიოლოგიას, რომელიც მოითხოვს მაღალ უნარ-ჩვევებს და კომპეტენციას, რაც ექსპერტთა აზრით, ამ აკადემიური პერსონალის ფარგლებს სცდება.
საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელის კომპეტენციაში ისინი ვერ შეიტანენ ეჭვს, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის ერთი წევრი ვერ წაიკითხავს სასწავლო კურსებს, რომელიც ეხება კალათბურთს, მძლეოსნობას, ფრენბურთს, ჩოგბურთს, ხელბურთს, ერთ ადამიანში ამდენი კომპეტენცია ვერ იქნება. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა კვალიფიკაციის გარკვეულ მიმართულებებთან არის შესაბამისობაში მოსაყვანი, საჭიროა დაიყოს ზოგადი მიმართულების მოდულებად ან ბლოკებად, რაც არის ექსპერტთა რჩევა.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, ექსპერტთა დასკვნიდან ამოიკითხა მე-3 რეკომენდაცია, სადაც აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოითხოვს დახვეწას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის შინაარსის თანხვედრაში მოყვანა. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა არის თუ არა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან თანხვედრაში და გვაძლევს თუ არა ის სპორტის ბაკალავრის ხარისხის მინიჭების უფლებას. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ თუ საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურირებული იქნება, კვალიფიკაციის მინიჭება პრობლემას არ გამოიწვევს. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი აკმაყოფილებს სპორტის ბაკალავრის კვალიფიკაციას.
დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, გულისხმობდნენ თუ არა ექსპერტები სტრუქტურირებაში, იგივე სასწავლო კურსების მოდულებად გადაყვანასა და ფორმების ცვლილებას. წინააღმდეგ შემთვევაში, მისი განმარტებით, საგანამანათლებლო პროგრამის შინაარსზე სტრუქტურირება გავლენას არ მოახდენს, რაც ექსპერტმა დაადასტურა.
საბჭოს წევრმა ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან ჩანაწერი, სადაც ეწერა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები თანმიმდევრულ ბმაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან და უზრუნველყოფდნენ პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას. მან სთხოვა ექსპერტს განემარტათ ეს რეკომენდაცია, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სასწავლო კურსები თანმიმდევრულ ბმაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან, 2 სასწავლო კურსი არ გადის პროგრამის მიზნებზე და შედეგებზე.

სათათბირო შესვენება: 16:19 საათზე
სხდომა განახლდა: 16:42 საათზე

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

ა) გაანალიზდეს პროგრამის სტრუქტურა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის შინაარსის თანხვედრა. ამ შედეგის მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურირდეს ზოგადი, შესავალი კურსების, მედიკო-ბიოლოგიერი, სპორტული სპეციალიზაციების, მულტიდისციპლინური ან/და ინტერდისციპლინური სპორტული ტრენინგის კომპონენტებად;
ბ) სხვადასხვა სპორტული სპეციალიზაციების სასწავლო კურსის სილაბუსებში გაიწეროს სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელი სწავლების პრაქტიკული მეთოდები, რომელიც გამოყენებულ იქნება სასწავლო კურსის წამყვანი სწავლის სპეციფიკური შედეგების მისაღწევად. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები და მეთოდები უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და გამოყენებული სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე;

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

გ) საგანმანთლებლო პროგრამის კომპონენტები თანმიმდევრულ ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდნენ პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. წინაპირობების არსებობა, სტუდენტისათვის სილაბუსებიდაც წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, რომელთანაც მათ აქვთ წვდომა საგნების არჩევამდე. წინაპირობები უნდა ჰქონდეს ყველა იმ საგანს, რომელიც ლოგიკურ ბმაშია კონკრეტულ კომპონენტთან;

დ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, კონკრეტული საგანმანათლებლო ერთეულისთვის, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სპორტულ ტურზე მიღების დოკუმენტი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი. მიღების დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიღების პროცედურები, სპორტული ტურის ნორმატივები და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები) და თვალსაჩინოებისათვის ინფორმაცია განთავსდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდზე;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნას პროფესიული პრაქტიკის შემსწავლელი კურსი იმ მიდგომით, რომ პრაქტიკის პროცესი იყოს ცხადი და ასევე, თანმიმდევრულად აღქმადი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის;

ვ) მედიკო-ბიოლოგიური მიმართულების, ვარჯიშების ბიომექანიკის და სპორტული სპეციალიზაციების კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლებისათვის შეირჩეს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელთაც ექნებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და შეძლებენ მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება

☐ აკრედიტაციის შესახებ

✓ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია.

2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[8]	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[9]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 26 ნოემბერი; №215
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[10]	ინფორმაციული ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური[11]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[12]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[13]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[14]	საქართველო, ქ. გორი, 1400 ილია ჭავჭავაძის ქ. N68, სასწავლო კორპუსი №2.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

---

[8] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[9] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[10] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[11] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[12] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[13] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[14] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 18 დეკემბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა 2007 წლიდან არსებობს, 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია, 175 კრედიტი ძირითადი სპეციალობის არის, ხოლო 65 კრედიტი - დამატებითი პროგრამა ან არჩევითი მოდულით არჩეული საგნები. მისი თქმით, 4 სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად, 1 - მეტწილად შესაბამისად აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან მიმართებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ განმეორებითი აკრედიტაციისას მნიშვნელოვანი მიღწევა არის ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები. რაც შეეხება რეკომენდაციებს, 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამას სავალდებულო კურსად უნდა დაემატოს საბაკალავრო ასარჩევი ნაშრომი ან სტაჟირება კომპანიში, რასაც თავად ექსპერტთა თავმჯდომარე არ დაეთანხმა, თუმცა ხმათა უმრავლესობით ის გაიწერა რეკომენდაციათა ჩამონათვალში. რეკომენდებულია, გადალაგდეს კურიკულუმი და საგნების წინაპირობები ისე, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განვითარდეს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. მან ასევე დაამატა, რომ 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია: გადაიხედოს ცალკეული სილაბუსები, გახდეს სფეროზე ორიენტირებული, მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან. ექსპერტმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს თანამშრომლობისათვის. ასევე, მან დაამატა რომ სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული მხარის გაძლიერება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს საბაკალავრო ნაშრომის დამატებასთან დაკავშირებით მოახსენა, რომ მათ თვითშეფასებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში გამოავლინეს მნიშვნელოვანი სუსტი მხარე, რაზეც ექსპერტები მიუთითებენ, ეს არის პრაქტიკული მხარის გაძლიერება, რა მიმართულებითაც კონკრეტული ნაბიჯები იქნა გადადგმული, რაც გამოიხატება იმაში, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსს დაემატა საკურსო პროექტი, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ექსპერტთა მოსაზრებით, ამგვარი მიდგომა შესაძლოა არ იყოს ეფექტური, რადგან საკურსო პროექტი შეფასებულია 10-15 ქულით 100-დან და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თავიდან აირიდოს მისი შესრულება. ამგვარი მიდგომით პრაქტიკულად ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სწავლის შედეგთან მიმართებით, სწორედ ამიტომ, ახალი აკრედიტაციის სტანდარტი ითხოვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია დააწესონ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც თუ სტუდენტი ვერ გადალახავს ვერ გავა დასკვნით გამოცდაზე. რაც შეეხება სასწავლო კურსების წინაპირობებს, ისინი რეკომენდაციას ნაწილობრივ იზიარებენ, მაგალითად, კომპიუტერული უნარ-ჩვევების სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება ვინდოუსის (windows) აპლიკაციებისათვის დამახასიათებელი პროცესები, აუცილებელია სტუდენტი იცნობდეს ვინდოუსის (windows) ოპერაციის თავისებურებებს. სასწავლო კურსების მარტივიდან რთულისაკენ გადალაგებასთან დაკავშირებით კი მან თქვა, რომ მას არ ჰგონია რომ რომელიმე სასწავლო კურსი უნდა ისწავლებოდეს უფრო ადრე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წინაპირობები არის გამკაცრებული და შეიძლება მათი გადახედვა, რომ ისინი გამარტივდეს. რაც შეეხება, კომპიუტერულ გრაფიკას, რომელსაც არ აქვს წინაპირობა, არ იქნება პრობლემა დაემატოს სასწავლო კურსი წინაპირობად. მისი თქმით, ისინი დანარჩენ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართავენ პრაქტიკას.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დისკუსია

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა აისახება თუ არა თანამედროვე ტენდენციები სილაბუსებში, რამდენად ხდება პროგრამული (software) განახლება და რას გულისხმობენ ექსპერტები პრაქტიკაზე ორიენტირებულობაში.
ექსპერტმა საბჭოს წევრს ტელეფონის საშუალებით უპასუხა, რომ სასწავლო კურსების ნაწილი შედეგზე ვერ გადის, პრაქტიკული ნაწილი არის სუსტი, სტუდენტები იღებენ თეორიულ ცოდნას, რომელიც მეტნაკლებად ტექნოლოგიურ განვითარებასთან არის თანხვედრაში, თუმცა მხოლოდ თეორიული ცოდნა არ არის საკმარისი.
ექსპერტმა დაამატა, რომ საგნების ჩამონათვალი მისდევს თანამედროვე გამოწვევებს, თვითონ დარგი არის საათობრივად მზარდი, იმდენად ჩქარა ვითარდება, შესაბამისად, შეუძლებელია დაწესებულების წარმომადგენლებმა მას ფეხი აუწყოს იდეალურ რეჟიმში. ასევე, ის ბოლომდე არ ეთანხმება სტაჟირებასთან და საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. საგანმანათლებლო პროგრამა თანამედროვეა და აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს.
საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე, იზიარებს პრაქტიკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას და ამავე დროს აღნიშნავს, რომ ძალიან რთულია გორში იმ კომპანიების მოძებნა, რომელიც გაატარებს სტუდენტებს სტაჟირებას, ის დაინტერესდა, ხომ არ უფიქრიათ მათივე უნივერსიტეტში, თავად გაატარონ სტაჟირება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ შეუძლიათ საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზება ამ კუთხით, რომელიც ბევრად ვერ იქნება განსხვავებული იმ მოდელისაგან, რაც წელს შეიტანეს. მისი თქმით, ეს პრობლემა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, თუმცა ისინი გამოკითხულები იყვნენ ცვლილებამდე, რომელიც განხორციელდა ყველა საკვანძო დარგობრივ სასწავლო კურსში, კერძოდ, 16 სასწავლო კურსს დაემატა საკურსო პროექტი.
ექსპერტმა ასევე, სავალდებულო პრაქტიკასთან დაკავშირებით, დაამატა, რომ გორში მოქმედ დაწესებულებებს, სახელმწიფო ორგანოებს აქვთ მაღალი დონის ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) პოლიტიკა, შესაბამისად, მათ თავიათ თანამშრომლადაც ვერ აჰყავთ ისეთი ადამიანი, ვისაც პრაქტიკა არ აქვთ გავლილი.
საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე, იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა აკადემიურ მოსწრების მაჩვენებლის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ მათი შეფასება არის 80% ნაკლები, დაინტერესდა თუ ახორციელებდა დაწესებულება მონიტორინგს და ანალიზს, ასევე, დაინტერესდა პროფესიით დასაქმების დაბალი მაჩვენებელი რატომ ფიქსირდება და ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს სხვადასხვა ციფრები რატომ აქვთ მითითებული.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სტუდენტთა შეფასება დაბალია, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა რთულია. სტუდენტთა რეკომენდაციით, დაშვების წინაპირობად განსაზღვრეს მათემატიკა. რაც შეეხება დასაქმებას, 5 წლის განმავლობაში 48 კურსდამთავრებულიდან 37 კურდამთავრებულია დასაქმებული, მათგან 11 სპეციალობით, სულ 33%.
საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა თუ ხდებოდა სიმულაცია სხვადასხვა სფეროს მიმართულებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ლაბორატორიებში აქვთ ვირტუალური ქსელები, რაც მათ ბაზაზეა შექმნილი. მისი თქმით, რთულია სტუდენტებმა რეალურად მიიღონ პრაქტიკული ცოდნა, თუმცა დაწესებულების მხრიდან ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადადგმულია.
საბჭოს წევრის, გიორგი თურქიას თქმით, ქსელების აწყობა გასაგებია, თუმცა ის დაინტერესდა უსაფრთხოების და კიბერუსაფრთხოების კუთხით რა მდგომარეობაა საგანმანათლებლო პროგრამაზე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა არ არის ძლიერი, თუმცა სხვადასხვა საგნებში უსაფრთხოება შეტანილია საკითხებად. მისი თქმით, კიბერუსაფრთხოება დარგია, რაც საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკე არ არის წარმოდგენილი. დაწესებულებების წარმომადგენლის აზრით, კიბერუსაფრთხოება უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ისწავლებოდეს. ექსპერტმა დაამატა, რომ მათ აქვთ საგანი - ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა, რომელიც არ არის იგივე რაც კიბერუსაფრთხოება.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სათათბირო შესვენება: 17:29 საათზე
სხდომა განახლდა: 17:44 საათზე
საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციებიდან გაიზიარა და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს სავალდებულოდ ასარჩევი პრაქტიკა (კლინიკური სწავლების ან სიმულაციების დანერგვის გზით);
ბ) კურიკულუმი და საგნების წინაპირობები გადაიხედოს ისე, რომ პროგრამის შინაარსი განვითარდეს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე;
გ) გადაიხედოს ცალკეული სილაბუსები, გახდეს სფეროზე ორიენტირებული და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან;
დ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გაძლიერდეს პრაქტიკული მაგალითების განხილვები, რომელიც დაკავშირებული იქნება სფეროში მიმდინარე თანამედროვე შემთხვევებზე;
ე) საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს საგნები კიბერუსაფრთხოების მიმართულებით;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება
- ✓ **აკრედიტაციის შესახებ**
  პირობითი აკრედიტაციის შესახებ
  აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
  აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[15]	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[16]	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[17]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[18]	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[19]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[20]	-
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
13	განხორციელების ადგილი[21]	საქართველო, ქ. თბილისი, 0159, ნოდარ ბოხუას ქ.N11
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

---

[15] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[16] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[17] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[18] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[19] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[20] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[21] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მას მოეწონა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სილაბუსები სპეციალიზაციის კუთხით არის დაუსრულებელი, არ არის გაწერილი რომელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება ხდება, როგორ ხდება მისი შეფასება, არასრულყოფილად არის დეტალიზებულად გაწერილი გამოცდის ფორმა ოსკი, თუ როგორ ტარდება იგი. როდესაც ექსპერტებმა თქვეს რომ სილაბუსებში ხარვეზებია, დაწესებულების წარმომადგენლების პასუხი იყო ის, რომ მათ აქვთ დრო გაამდიდრონ სილაბუსები, რაც მისი აზრით არასწორია. ექსპერტთა თავმჯდომარის თქმით, კლინიკაში სტუდენტები პაციენტებთან პრაქტიკულად თვითონ არ მუშაობენ, იგულისხმება მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, რაც კანონით დაშვებულია, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამა არის უცხოენოვანი სტუდენტებისათვის, მათ იციან როგორი სიტუაციაა ამ თვალსაზრისით მათ ქვეყნებში, სადაც ისინი ბევრ პაციენტს იღებენ სტუდენტობის პერიოდში. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი არის კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაცია. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამას კურსდამთავრებულები არ ჰყავს, სტუდენტები არიან პირველ და მესამე სემესტრზე, შესაბამისად ექსპერტები გაესაუბრნენ მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, სადაც ასევე იკვეთება პრაქტიკული კომპეტენციის ნაკლებობა. დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაცია და სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულები მასწავლებლის ზედამხედველობით პაციენტთან პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში. ექსპერტის განმარტებით, პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება მეცადინეობის განმავლობაში არ ხდება, მისი შეფასება ხდება ოსკის გამოცდის ხარჯზე, თუმცა ოსკი არის მხოლოდ გამოცდის ფორმა, ის არ არის იმ 60 ქულიან კომპონენტში, რომლებსაც სტუდენტები იღებენ მიმდინარე კურაციებზე, ასე, რომ სასურველია, კურაციებზეც მოხდეს კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება. ასევე, დაამატა, რომ გარკვეული შეუსაბამობა იყო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, მისი თქმით, პერსონალი აყვანილია გამონაკლისის წესით, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათ საგანმანათლებლო პროგრამა შემოიტანეს აკრედიტაციისთვის, თუმცა შემდეგ მოუწიათ ავტორიზაციის პროცესი და შესაბამისად დაიწყეს საგანმანათლებლო პროგრამის განხოციელება. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწის კუთხით მიესალმებიან რეკომენდაციებს. რაც შეეხება ცოცხალ პაციენტებზე სწავლებას, მათ ჰქონდათ დისკუსია დაწესებულებაში, მედიცინის ფაკულტეტზე მათ არ აქვთ პრაქტიკა სტუდენტის მიერ გარკვეული მანიპულაციების დამოუკიდებლად განხორციელებისათვის. მისი თქმით, თუ ისინი ბოლო კვლევებსაც გაითვალისწინებენ, 10% სამედიცინო შეცდომა არის დაშვებული განვითარებულ ქვეყნებში პროფესიონალების მიერ, შესაბამისად გაუჩნდათ კითხვა რამდენად ადეკვატური იყო ამ მეთოდის გამოყენება. ექსპერტების მოსაზრება ემყარება სტუდენტთა გამოკითხვას, ის არ იზიარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ თუ საბჭო გაიზიარებს ამ რეკომენდაციას, ისინი გადახედავენ საკითხს. მან აღნიშნა, რომ პაციენტზე

სწავლება საწყის ეტაპზე არსად არ ხდება. მისი თქმით, ექსპერტებმა ნახეს ფანტომები, რეალური კბილები, ყბა რეალურ ვითარებაში, რომელიც უბრალოდ არ აორთქლებს სათვალეს, არ გარბის სავარძლიდან მანიპულაციის შიშით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლი ეთანხმება ექსპერტებს, რომ პაციენტთან კომუნიკაცია და რთული მანიპულაციები მნიშვნელოვანი ელემენტია.
დაწესებულების მეორე წარმომადგენელმა, რომელიც არის ექიმი სტომატოლოგი, დაამატა რომ ატრენინგებს ექიმებს და რაც შეეხება სტუდენტების პაციენტებთან ურთიერთობას, საგანმანათლებლო პროგრამის მე-9-10 სემესტრში ეს პრაქტიკა ისედაც დევს, მათ აქვთ ორ ნაწილიანი კლინიკა: სიმულაცია და კლინიკა, კურაციული სწავლება კი მე-9-10 სემესტრში იქნება განხორციელებული, კვალიფიციური პირის ზედამხედველობის ქვეშ.
დაწესებულებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება 3 თვეა დაიწყო, არ მიმდინარეობს სწავლება ცოცხალ პაციენტებზე, რითაც არაფერი ფუჭდება, სტუდენტები არიან პირველ და მესამე სემესტრში. მისი განმარტებით, მოქმედ კლინიკაში ხდება სწავლება, სადაც მოწყობილია სიმულაციური ცენტრი, განთავსებულია ფანტომები, შესაბამისად, გვერდი-გვერდ ოთახში სიმულირებული და რეალური პაციენტი იქნება. მან თქვა, რომ შეფასების რუბრიკების გაწერა ნამდვილად იქნება კარგი, გაწერილია, რომ ტარდება ოსკი, თუმცა რამდენად არის აუცილებელი მისი დეტალიზება, მისი შეფასება დამოკიდებულია იმ კონკრეტულ საფეხურზე შესაფასებელ უნარზე. გარდა ამისა, მისი თქმით, პერსონალის აყვანის წესთან დაკავშირებით აქვთ საგამონაკლისი წესი, რომელიც წესდებით არის გათვალისწინებული, სტომატოლოგიაში.

დისკუსია

ექსპერტმა რეალურ პაციენტებთან მანიპულაციების ჩატარებასთან დაკავშირებით, თქვა, რომ იტალიაში იკრიბებიან 30-მდე ქვეყნის წარმომადგენლები, სადაც ისინი გადიან კონსულტაციებს. მისი თქმით, თითქმის ყველა ქვეყანაში მე-3 კურსიდან სტუდენტები იღებენ პაციენტებს, ყველ მანიპულაცია არის წინასწარ გაწერილი: მარტივი და რთული, ექსპერტი არ ამბობს, რომ მათ უნდა გააკეთონ მანიპულაცია იმპლანტოლოგიაში, თუმცა არის ქვეყნები სადაც არის ეს გაკეთებული. ექსპერტის თქმით, ოსკი-ს ცალკე დოკუმენტაცია არ არის შემუშავებული, ყველა სასწავლო კურსს ექნება კომპონენტი და შეფასება სხვადასხვა, სწორედ ამიტომ არის საჭირო პატარა დოკუმენტი იმის შესახებ თუ რამდენ სადგურზე ტარდება ოსკი, რამდენი წუთი და ა.შ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტს უპასუხა, რომ მათ მე - 3 სემესტრის სტუდენტებთან ჰქონდათ ზოგადი უნარ - ჩვევების შეფასების კუთხით გამოცდა, რომელიც იყო 4 სადგურზე, თუ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მათ შეუძლიათ ეს ინფორმაცია გაწერონ დეტალურად რუბრიკის სახით სილაბუსებში.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მე - 4 სტანდარტი არის შეფასებული, როგორც სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან, თუმცა ქვესტანდარტებით ჯამურად უნდა შეფასდეს მეტწილად შესაბამისობაში. ექსპერტმა სხდომის თავმჯდომარეს უპასუხა, რომ მასაც ეგონა რომ მეტწილად უნდა შეეფასებინა სტანდატი, თუმცა ცენტრმა გამოთვლა შეასწორებინა, როგორც „სრული შესაბამისობა".
საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა პაციენტს, რომ თუ პრობლემა შეიქმნა ვინ იღებს პასუხსმგებლობას პრაქტიკის განმახორციელებელი თუ კლინიკა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ პასუხისმგებლობას იღებს მასწავლებელი და დაწესებულება, სადაც ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები. მისი თქმით, სამედიცინო ბარათის უკან არის პაციენტის თანხმობის ფურცელი. რაც შეეხება პრაქტიკის განმახორციელებლების ინგლისურის დონეს, გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათ არც ენის პრობლემა არ აქვთ და არც პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების.
საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა დღეს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი პროგრამის მდგრადობას როგორ არეგულირებს უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა თქვა რომ ის სტუდენტები, რომლებიც არდადეგებზე წავიდნენ თავიანთ ქვეყნებში, უკან ვერ დაბრუნდნენ, მაგალითად, ირანიდან, სწავლა გადაიწია 1 აპრილამდე, თუმცა მე - 3 სემესტრში ონლაინ სწავლებაზე გასდასვლა არ არის პრობლემა, ხოლო ეკონომიკურ საკითხში ის კომპეტენტური არ არის.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, ექსპერტს სილაბუსების ავტორების შესაბამის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე სთხოვა უფრო დეტალურად ესაუბრა. ექსპერტმა განმარტა, რომ მან ისაუბრა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობაზე, აკადემიური პერსონალი იყო აყვანილი გამონაკლისის წესით. მისი თქმით აკადემიურ თანამდებობაზე საჭიროა გარკვეული პედაგოგიური სტაჟი, ხოლო კლინიკური გამოცდილება უმრავლესობას აქვს დამაკმაყოფილებელი.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი, დაინტერესდა ექსპერტის აზრით, რა სწავლის შედეგი აკლია საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც აქვს 16 სწავლის შედეგი და რამ განაპირობა რეკომენდაციის გაჩენა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ის შედეგების რაოდენობას არ გულისხმობდა, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით ჩანს, რომ დიდი ხვედრითი წილი აქვს სტომატოლოგიას, საიდანაც მხოლოდ 2 ეხება კლინიკური და პრაქტიკული უნარების ათვისებას.
საბჭოს წევრი, ნიკოლოზ კიკნაძე, დაინტერესდა სტუდენტის სახელმძღვანელო პრაქტიკულ უნარ - ჩვევებთან, პაციენტთან ინდივიდუალურ მუშაობასთან და პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობა ხომ არ შეუშლიდა ხელს საგანმანათლებლო პროგრამის ერთ - ერთ მიზანზე გასვლას, კერძოდ, უზრუნველყოს სამედიცინო მომზადება უპირატესად პრაქტიკულ გარემოში, ეთიკური ფასეულობების საფუძველზე და რაციონალური და ეფექტური ჩარევის წინაპირობაზე, - პატივი სცეს ინდივიდუალურ ავტონომიას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ისინი ზუსტად ამას გულისხმობდნენ, მათი აზრით, თუ ეს რეკომენდაცია არ იქნება გათვალისწინებული, საგანმანათლებლო პროგრამა შედეგზე ვერ გავა.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი, დაინტერესდა რატომ არ იყო ასახული სტუდენტთა მონაცემები თვითშეფასების ანგარიშში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ საგანმანათლებლო პროგრამა შემოიტანეს აკრედიტაციაზე, მაშინ, როდესაც სტუდენტი და საგანმანათლებლო პროგრამა არ ჰქონდათ, ის იყო შემოტანილი სთადი პროგრამის (Study in Georgia) ფარგლებში, მისი შეფასება უნდა განხორციელებულიყო სხვაგვარად, შემდეგ მათ ავტორიზაციაზე შეიტანეს საგანმანათლებლო პროგრამა, მიიღეს სტუდენტები, შესაბამისად, თვითშეფასება ასახავს პერიოდს, როცა საგანმანათლებლო პროგრამაზე არცერთი სტუდენტი არ იყო ჩარიცხული, პერსონალთან დაკავშირებით კი არცერთი რეკომენდაცია არ იყო გაცემული ავტორიზაციის დროს. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დაწესებულებაში პრაქტიკული გარემოს პრობლემა არ არის, ის ცალკე შენობაში ხორციელდება, აქვთ ცალკე სიმულაციური ლაბორატორია, მანეკენებისა და ფანტომების დარბაზი ცალკეა, არის ულტრათანამედროვე პრაქტიკული გარემო. ასევე, არის სტომატოლოგიური კლინიკა, თავისი რენდგენით, აღჭურვილობით, სავარძლებით, პერსონალით და პაციენტებით. მისი თქმით, თუ საბჭო გაიზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას, რომ საჭიროა პაციენტებზე გარკვეული მანიპულაციების სწავლა, ისინი გაითვალისწინებენ მას, თუმცა 5 სემესტრი აქვთ წინ დასაფიქრებლად რეკომენდაცია ღირებულია თუ არა, ხოლო იგი თავად წინააღმდეგია. მან თქვა, რომ ინტერკომუნიკაცია აუცილებელია, თუმცა პრობლემა არის მანიპულაციების სიღრმე და სირთულე, დაწესებულებაში ჩაითვლებოდა, რომ პრაქტიკული გარემო არ არის თუ არ იქნებოდა ფანტომები, სავარძლები, მანეკენები, მაგრამ მათ აქვთ რეალური კლინიკა. რაც შეეხება პერსონალს საუბარია 2 ადამიანზე, ნატალია წერეთელზე, რომლის პირველი პროფესია არის სტომატოლოგია, აქვს 3 წელზე მეტი პედაგოგიური გამოცდილება მათივე უნივერსიტეტში და ხათუნა დავითაიაზე, რომელსაც აქვს 20 წლიანი გამოცდილება და 3 წელზე მეტი ექიმების დატრენინგების გამოცდილება.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი, დაინტერესდა რამდენი სტუდენტია საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელი ქვეყნებიდან და საქართველოს მოქალაქეები არიან თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საქართველოს მოქალაქეების მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით და პროგრამის განხორციელება დაწყებულია სამი წლის წინ, რაც შეეხება სხვებს, ესენია - დიდი ბრიტანეთის, ლიბანის, იორდანიის და რამდენიმე აფრიკულ ქვეყნის, სულ 48 სტუდენტი.
საბჭოს წევრი, თამარ ტუფინაშვილი, დაინტერესდა თუ შეძლებდა საგანმანათლებლო პროგრამა 48 სტუდენტის მიღებას არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსით, ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებს 48 სტუდენტის მიღებას.

შესვენება გამოცხადდა: 18:53 საათზე

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომა განახლდა: 19:17 საათზე

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დააზუსტა.

ა) დაინერგოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ, როგორც მიღებულია უმაღლეს დაწესებულებებში და დასაშვებია „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში უზრუნველყოფილ იქნას ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინება (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36 პროფესიული კვალიფიკაციების აღიარება). უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტთა კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების შესაძლებლობის დანერგვა;

ბ) სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსებში, სადაც კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება, აუცილებელია პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტის დამატება. პრაქტიკულ კომპონენტის სილაბუსებში დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება. დაკონკრეტდეს ფანტომებზე, პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი;

გ) გადაიხედოს პირადი საქმეები, სასწავლო კურსის ავტორები შეირჩეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები;

დ) გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, თითოეული სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები იყოს თანმიმდევრული, შესაბამისი. სასწავლო კურსის სილაბუსები იყოს დასრულებული სახით;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის (მისი მიზნების) შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს ინფორმაცია, უზრუნველყოფილ იქნას საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ
- ✓ **პირობითი აკრედიტაციის შესახებ**
- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[22]	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[23]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 24 დეკემბერი; №289
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[24]	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[25]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[26]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[27]	-
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი[28]	საქართველო, 0175, ქ. თბილისი, კოსტავას N77.
14	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ დიმიტრი გეგენავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

---

[22] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[23] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[24] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[25] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[26] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[27] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[28] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა თავმჯდომარეს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ რეკომენდაციები არ აქვთ, საგანმანათლებლო პროგრამა ტოვებს პოზიტიურ შთაბჭდილებას, მათ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის გასცეს რჩევები. ექსპერტის თქმით, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამის სისტემა მუშაობს, განსაკუთრებული პრობლემა მას არ გააჩნია, განვითარებადია, კარგად არის შერჩეული პერსონალი, დამსაქმებლები საგანმანათლებლო პროგრამაში აქტიურად არიან ჩართულები, სტუდენტებმა გასაუბრებისას დატოვეს დადებითი შთაბეჭდილება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ინფრასტრუქტურა კარგად არის მოწყობილი, ის ლიტერატურა რაც სილაბუსებშია მითითებული არის ბიბლიოთეკაში, აქვთ ტელე სტუდია, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ შეხვედრები დისკუსიები, აქვთ შესაძლებლობა მოხდეს მათი ჩართვა და ადაპტაცია პროფესიულ საზოგადოებაში, იწვევენ სპეციალისტებს ფსიქოლოგის სხვადასხვა დარგში სამივე სპეციალობით. რაც შეეხება დასაქმების პოლიტიკას, ექსპერტმა თქვა, რომ დასაქმების პოლიტიკა იყოფა ორ ნაწილად, შიდა უნივერსიტეტთან არსებულ საწარმო სივრცეებში და გარე დასაქმებად. მისი თქმით, დამსაქმებლებთან კომუნიკაცია არ იყო მუდმივი, შეხვედრაზე ჰქონდათ პოზიტიური განწყობა. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის კუთხითაც დაწესებულებას აქვს კარგი ურთიერთობა უცხოელებთან, სასწავლო კურსებთან დაკავშირებით იყო გაცემული დამატებითი რჩევები.

დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის და სასარგებლო რჩევებისთვის, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, ისინი შეეცდებიან შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ ისინი.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით და დაინტერესდა ექსპერტთა მიერ გაცემული პირველი რჩევით. კერძოდ, ჩანაწერი თავისი შინაარსით არის რჩევა თუ მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამა. მისი განმარტებით, ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს თანახმად, პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს კონცენტრაცია. ბაკალავრიატის საფეხურზე კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თითოეული კონცენტრაცია, რომელსაც ამ შემთხვევაში ჰქვია ბლოკი, არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. შესაბამისად, რატომ არ არის ხაზგასმულად მითითებული, რომ აღნიშნული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 69/ნ ბრძანებასთან არ არის შესაბამისობაში.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დისკუსია

ექსპერტმა განმარტა, რომ მათ ჩათვალეს, რომ ახალი ჩარჩოს მოთხოვნების შესახებ ყველა შეიძლება ინფორმირებული არ ყოფილიყო, შესაბამისად, გასცეს რჩევის სახით, რომ ტერმინოლოგიის ადაპტირება მოხდეს.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული მოთხოვნა არის იმპერატიული, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათ საგანმანათლებლო პროგრამა შეიტანეს ზაფხულში, როდესაც ისინი ახდენდნენ საგანმანათლებლო პროგრამის რესტრუქტურიზაციას, ასარჩევი საგნები, იძლეოდა სრულ შესაძლებლობას, რომ ისინი გარკვეული თემატიკით დაელაგებინათ, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ყველა მხრიდან იყო შემოთავაზებული რჩევები, მომხდარიყო არჩევითი საგნების რესტრუქტურიზაცია. სწორედ ამიტომ უწოდეს მათ ბლოკები და არა კონცენტრაციები. მისი განმარტებით, კურსდამთავრებულს კვალიფიკაცია არ ენიჭება კონკრეტული კონცენტრაციის მიხედვით, შედეგებზე კი გადიან სავალდებულო საგნების მიხედვით. მათი მიზანი არის ის, რომ სტუდენტს შესთავაზონ მათი ინტერესიდან გამომდინარე შემდგომი საფეხურისთვის გასათვალისწინებელი საგნები.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, განმარტა, რომ ახალი კლასიფიკატორი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იყოს სხვადასხვა კონცენტრაციები, რომელიც გავლენას არ ახდენს კვალიფიკაციაზე და არ ცვლის სწავლის სფეროს. ის ხაზს უსვამს იმას, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოთი პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე აღემატება დაშვებულს. ასევე, სწავლის შედეგები გადის 6 შედეგზე, რომელიც მოქმედებდა წინა საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში, ის დაინტერესდა რატომ არ არის ის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, განმარტა, რომ ახალი კლასიფიკატორი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყოს კონცენტრაციები, საკუთარი სწავლის შედეგით, რომელიც არ ცვლის პროგრამის სწავლის სფეროს და კვალიფიკაციას. წარმოდგენილ პროგრამაში კონცენტრაციებისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა აღემატება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, რომ ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები რატომ არის გაწერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგები აღმწერი დონეების მიხედვით თანხვედრაშია შესაბამის სასწავლო დონის მოთხოვნებთან. კანონი არ საუბრობს სტრუქტურაზე, ისინი არავითარ წინააღმდეგობაში არ მოდიან კანონთან, როცა სწავლის შედეგს ყოფენ 6 ნაწილად. შესაბამისად, მათ შეინარჩუნეს ეს სისტემა, ახალი ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს სტრუქტურის ნაწილში იმპერტაიულ მოთხოვნას, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა დააკმაყოფილეს დონის მოთხოვნები, რაც მისი აზრით, დეცენტრალიზების ნაწილის მაგალითია. რაც შეეხება კონცენტრაციას, ისინი აკეთებენ კონცენტრაციის ინტერპრეტაციას, სასწავლო ბლოკი არ არის კვალიფიკაციაზე გამსვლელი, ის არსებობს იმისათვის, რომ სტუდენტს მეტი არჩევითობის ფაქტორი მისცენ მაღალ საფეხურზე. მისი თქმით, ბლოკები არ არის კომპეტენციის განმსაზღვრელი და თუ ტერმინოლოგიის პრობლემაა, შეუძლიათ შეცვალონ კიდეც ის.
საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი, დაინტერესდა თუ ეს ბლოკები კომპეტენციაზე არ გადის რა აუცილებელია მათი გაჩენა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გამოკითხვების შედეგად გაჩნდა სხვადასხვა მოთხოვნები და შედეგად წარმოადგინეს რამდენიმე კურსი ბლოკების სახით, რაც კვალიფიკაციასთან მიმართებით გადამწყვეტი არ არის, სწავლის შედეგზე გადიან ძირითადი ბლოკით.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეული კომპეტენცია განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი საგნებით, ეს ბლოკები არის ერთიანი ქუდის ქვეშ დაწყობილი სასწავლო კურსები.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ საბაკალავრო საფეხურზე 30 კრედიტზე მეტი ბლოკის თუ კონცენტრაციის სახით არ უნდა იქნეს არჩეული. მისი აზრით, ეს რჩევა რეკომენდაცია უნდა იყოს. მან ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან ჩანაწერი სადაც ეწერა, რომ სასურველია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ კარიერის დაგეგმარების სტრატეგია. ამ შემთხვევაში, პრაქტიკების გაცნობიერებული დაგეგმარება და სტუდენტის სადიპლომო ნაშრომის შექმნის პროცესის კომპლექსური ორგანიზება ხელს შეუწყობდა სტუდენტების ეფექტურ დასაქმებას. მისი თქმით, მნიშვნელოვანია სტუდენტებს მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია. გამომდინარე იქიდან ,რომ აღნიშნულ პროგრამას მხოლოდ 59%-იანი დასაქმება აქვს, ის დაინტერესდა თუ მუშაობს კარიერული ხელშეწყობისა და დასაქმების სამსახური, არსებობს თუ არა შესაბამისი სტრატეგია, რაში მდგომარეობს პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობს ცენტრი, რომელიც არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, ისინი უშუალოდ ვერ დაასაქმებენ, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობენ მიაწოდონ ინფორმაცია სტუდენტებს კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, მათ გააჩნიათ სტრატეგიული გეგმა.

ასევე, მისი თქმით, ექსპერტთა რჩევა იყო, უფრო მეტად ყოფილიყო წახალისებული ფაკულტეტის მხრიდან გარკველი პრაქტიკული აქტივობები და კონფერენციები, რაც უნივერსიტეტში ამ მხრივ ტარდება.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია სტუდენტთა რაოდენობის არითმეტიკული კლება, ის დაინტერესდა რა იყო ამის მიზეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვლევის მეთოდებისთვის გამოყოფილია 2 სემესტრი, ასწავლიან ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას, სადაც სტუდენტებისთვის სავალდებულოა კვლევით პროექტზე მუშაობა, მონაცემთა დამუშავება, რასაც ეთმობა 30 კრედიტი. ისინი მუდმივად აწყობენ სტუდენტურ კონფერენციებს, სადაც სტუდენტებს გამოაქვთ თავიანთი კვლევითი პროექტები მათი ხელმძღვანელობით, აქვთ ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრი 'კონტაქტი', სადაც სტუდენტები მუდმივად ჰყავთ დეპარტამენტის კვლევით პროექტებში ჩართული, ისინი მანამდეც იყვნენ ჩართულები ამ პროექტებში სტაჟირების სახით.

სხდომის თავმჯდომარემ დააზუსტა საბჭოს წევრის კითხვა, რომ მობილობის გადინების მაჩვენებელი არის დიდი და რა განაპირობებს ამას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აბიტურიენტთა ჩარიცხვების მაჩვენებელი არის 100%, ხოლო მობილობით გამოცხადებულ რაოდენობას რაც შეეხება, გამოცხადებული რაოდენობა არ შევსებულა, ასევე, მათ ჩაატარეს კვლევა, რითაც დაადგინეს, რომ სტუდენტთა გადასვლის ძირითადი მიზეზი არის სწავლის გადასახადის ვერ გადახდა, შესაბამისად, მიიღეს ზომები და სწავლის გადასახადი დაყვეს 10 ნაწილად.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა მისი შეკითხვა, მისი თქმით, 2015-2019 წლების მონაცემებით, იკლებს ჩარიცხულ სტუდენტთა და მსურველთა რაოდენობა, ის დაინტერესდა რა იყო ამის მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ სტუდენტთა რაოდენობის კლება გამოიწვია გამოცხადებული რაოდენობის შემცირებამ.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან ერთ-ერთი რჩევა, რომელიც ეხებოდა სასწავლო პორცესის უზრუნველყოფას თვალსაჩინო მასალებით და ცალკეული ხელსაწყოებით, რაც პროფესორებთან გასაუბრებისას დადგინდა. მან სთხოვა ექსპერტს განემარტა რჩევა.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროფესორებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ არსებობს ლაბორატორიული ხასიათის დამატებითი საჭიროებები, შესაბამისად, გაიცა რჩევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა გაითვალისწინოს, ყურადღება მიაქციოს, ჩაატაროს დამატებით კვლევა თუ რა აკლიათ. გარდა ამ შენიშვნებისა, მისი თქმით საგანმანათლებლო პროგრამაში არის საინტერესო ინოვაციებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მატერიალური ტექნიკური რესურსის კუთხით, ექსპერტებს არ დარჩენიათ შთაბეჭდილება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აკლიათ რამე, ექსპერტებისგან გაიცა გარკვეული რჩევები, თუ რა შეიძლება დაამატონ, რაზეც საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად იმსჯელეს და შეიძინეს. ამ ეტაპზე შეძენილია თავის ტვინის მაკეტი, გარკვეული ფსიქიკური პროცესების განმსაზღვრელი ინსტრუმენტი და ა.შ. საგანმანათლებლო

პროგრამისთვის აუცილებელი რესურსი კი აკრედიტაციამდეც იყო შეძენილი, რომელიც მუდმივად ნახლდება.

სათათბირო შესვენება: 20:17 საათზე
სხდომა განახლდა: 21:10 საათზე

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო არ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, 1.1. და 1.2 კომპონენტები - პროგრამის მიზნები, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ასევე, 2.2. კომპონენტი - „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი", და 2.3. კომპონენტი - „სასწავლო კურსი", ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". შესაბამისად, საბჭოს მიერ პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მე-2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები და მიზნები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციის განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან (აკრედიტაციის სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები);
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები შინაარსობრივად გადაიხედოს და მოვიდეს შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციის განახლებულ ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან;
გ) საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული ბლოკები, იგივე კონცენტრაცია (ძირითადი სწავლის სფეროს ნაწილი) უნდა ითვალისწინებდნენ სწავლის შედეგებს, რომელიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში;
დ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული კონცენტრაციების კომპონენტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ☐ აკრედიტაციის შესახებ
- ✓ **პირობითი აკრედიტაციის შესახებ**
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის, „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 21:12 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე დიმიტრი გეგენავა

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

Nikoladze

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა